ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1924 წლის დეკემბრის 15.	№ 8. განყოფილება პირველი	გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შინაარსი:

მუხ. 263. საჭრელი ტყის ფონდის განაწილების წესის შესახებ.

„ 264. თამბაქოს წლიური გადამუშავებისათვის სავალდებულო მინიმუმის დაწესების თაობაზე უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ გამოცემული დადგენილების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

„ 265. გამოუქნელი ტყავის ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ ა/კ. ს. ფ. ს. რ—ში.

„ 266. ნაწილობრივი სოციალური დაზღვევის გავრცელების შესახებ სასეზონო და დროებით მუშებზე მარილის მრეწველობაში.

„ 267. დახმარების მიცემის შესახებ იმ პირთათვის, ვინც თავისი სურვილისამებრ ერთი ადგილიდან მეორე ადგილას იქნება გადაყვანილი (შრომის კანონთა კოდექსის 28 მუხ. განმარტება).

„ 268. აზერბაიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში სამუშაოზე მყოფ სპარსეთის ქვეშევრდომ ბოგანო—გლეხთა და მუშათა განთავისუფლების შესახებ ნაციონალური პასპორტის ვიზის გამოსაღებისაგან.

„ 269. ინსტრუქცია ა/კ. ს. ფ. ს. რ. სასაქონლო—საფონდო ბირჟებისათვის—ბირჟის გარეშე დადებულ სასაქონლო გარიგების რეგისტრაციის შესახებ.

„ 270. დებულება ა/კ. ს. ფ. ს. რ. სასაქონლო—საფონდო ბირჟასთან არსებულ სარეგისტრაციო ბიუროთათვის—ბირჟის გარეშე დადებული გარიგების რეგისტრაციის—შესახებ.

„ 271. 1924 წ. ნოემბრის თვის სამუშაო ხელფასის მინიმუმის შესახებ.

„ 272. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხის შესახებ ადგილობრივ საჭიროებათათვის.

„ 273. საგადასახადო შეღავათის შესახებ ა/კ. ს. ფ. ს. რ—ში შემავალი რესპუბლიკების წითელი-ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებათათვის.

„ 274. საზღვარგარეთ სპირტის გატანის დროს გაწეული ხარჯების დასაფარავად არსებული უაქციზო ანარიცხის შეცვლის შესახებ.

„ 275. ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და აზერბაიჯანის ს. ს. რ., სომხეთის ს. ს. რ. და საქართველოს ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათა გათანაბრების შესახებ—სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებთან ყოველგვარი გადასახადისა, გამოსაღებისა და ბეგარის სფეროში.

„ 276. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თაობაზე ამიერკავკასიის ცენტრ. აღმ. კომიტეტის მიერ გამოცემული დეკრეტის დამატების შესახებ.

„ 277. სახელმწიფო შემოსავლის ზოგიერთი კატეგორიის გადასახდელის უდავო წესით გადახდევინების შესახებ.
„ 278. საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ჩაქვის სახალხო მამულის 1923 წ. მოსავლის ჩაისთვის უკიდურესი საბითუმო საგასაცემო ფასის დაწესების შესახებ.
„ 279. შირის ტრესტის ნაკეთობის საბითუმო და ცალობითი ფასების შესახებ.
„ 280. საჯარო ანგარიშგებისა და სავალდებულო პუბლიკაციის წესის შეცვლის შესახებ.
„ 281. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მონაკლებთა ფონდის დაწესების შესახებ აზერბაიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში 1924 წ. მოუსავლობისაგან დაზარალებული ადგილების მოსახლეობისათვის.
„ 282. ამიერკავკასიის მანძილშეერთებულობის საოლქო სამმართველოში ნაციონალური რესპუბლიკების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ
„ 283. ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის წესდების ზოგიერთი პარაგრაფის შეცვლის შესახებ.
„ 284. მუშათა ბინების კოოპერატიულ ამშენებლობისათვის ხელისშეწყობის შესახებ.
„ 285. ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რ. ფარგალში გამოსაშვებ ფასიანი ქაღალდების დამზადების წესის შესახებ.
„ 286. პარაფინის ასანთის ფასის შესახებ.
„ 287. ადგილობრივი ორგანოების მიერ, ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცებამდე, სახსართა დახარჯვის წესის შესახებ.
„ 288. სპეციალური საგზატკეცილო-საგზაო ფონდის დაარსების თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.
„ 289. აზერბაიჯანის ს. ს. რ., საქართველოს ს. ს. რ. და სომხეთის ს. ს. რ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ საბავშვო კომისიების მიერ საქველმოქმედო მიზნით გამართულ საღამოებზე, კონცერტებზე და სხვ. ამისთ. ბუფეტების განთავისუფლების შესახებ სახელმწიფო სარეწავი გადასახადისაგან.
„ 290. ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღების უმაღლესი უკიდურესი განაკვეთის შესახებ.

დადგენილება № 30 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

1924 წლის ოქტომბრის 9.

263. საჭრელი ტყის ფონდის განაწილების წესის შესახებ.

იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო ხე-ტყის დამმუშავებელი სატყეო მრეწველობისა, შეშის დამზადების სახელმწიფო ოპერაციებისა და მრეწველობის სხვა დარგების უზრუნველყოფას მერქანით უაღრესი მნიშვნელობა აქვს,—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებთან მოეწყოს გასაცემი ზემდგარი ტყის განაწილების (თვითეულ რესპუბლიკაში) საუწყებათაშორისო კომისიები; კომისიაში შევლენ:

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილების გამგე.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი.

გზათა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

კომისიის თავმჯდომარედ იქნება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ან მისი მოადგილე.

2. გასაცემი ტყის განაწილების საუწყებათაშორისო კომისიას დაეკისრება:

ა) გამოჰყოს წლიურად გასაცემი ტყიდან,— რაც მოსაჭრელად დაინიშნება სატყეო მეურნეობის გეგმის თანახმად,—სათანადო ნაწილი სახელმწიფო საჭიროებისათვის და მომხმარებელთათვის, რომელთაც ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა სატყეო კოდექსებით უფლება აქვთ მიიღონ ტყე საჯარო ვაჭრობის გარეშე;

ბ) განსაზღვროს გასაცემი ტყის რაოდენობა „ა“ პუნქტში აღნიშნული საჭიროებისათვის, რაიონების მიხედვით;

გ) შეადგინოს სია ტყის მომხმარებელთა, რომელთაც უფლება აქვთ მიღონ მერქანი საჯარო ვაჭრობის გარეშე;

დ) გაანაწილოს გასაცემი ტყე ამ მომხმარებელთა შორის.

3. ყველა სახელმწიფო დაწესებულება, ორგანო და ორგანიზაცია, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს ტყე სამრეწველო და წარმოებითი მიზნებისათვის საჯარო ვაჭრობის გარეშე, მოვალეა წარუდგინოს საუწყებათაშორისო კომისიას განცხადება ტყის მიცემის შესახებ—საჭირო ცნობებით და დასაბუთებით; განცხადება შეტანილ უნდა იქნეს კომისიის მიერ დაწესებულ ვადებზე.

4. კომისიის დადგენილება გასაცემი ტყის განაწილების შესახებ მიიღება ხმის მარტივი უმეტესობით: უმცირესობას უფლება აქვს სამი დღის განმავლობაში შეიტანოს პროტესტი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოში.

5. თვითეულმა საუწყებათაშორისო კომისიამ უნდა შეადგინოს განსაკუთრებული ინსტრუქცია კომისიის მუშაობის შესახებ; ამ ინსტრუქციას დამტკიცებს ამიერკავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური საბჭო.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ.
რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ.
რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 718 № 1-ში 1924 წ. ნოემბრის 1-ს.

დადგენილება ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1924 წ. ოქტომბრის 29.

264. თამბაქოს წლიური გადამუშავებისათვის სავალდებულო მინიმუმის დაწესების თაობაზე უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ გამოცემული დადგენილების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს 1924 წ. ოქტომბრის 18-ს თარიღისა და 33 №-რის დადგენილება—კერძო ფაბრიკებში თამბაქოს წლიური გადამუშავებისათვის სავალდებულო მინიმუმის დაწესების შესახებ—შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე 1924—1925 საბიუჯეტო წლის პირველი ნახევრის დასაწყისიდან.

საფუძველი: მუხლი მე-3 უმაღლესი ეკონომიური საბჭოს 1924 წ. ოქტომბრის 18-ს თარიღისა და 33 №-რის დადგენილებისა, რაც გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს 714 №-ში 1924 წლის ოქტომბრის 28-ს.

ამიერკავკასიას ფინანსთა სახალხო
კომისრის მოადგილე **გენკინი.**

საგადასახადო სამმართველოს
უფროსის მოადგილე **გურგენოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 719 №-ში 1924 წ. ნოემბრის 2-ს.

დადგენილება № 3511 (17) ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1924 წ. ნოემბრის 5.

265. სამრეწველო ნედლეულობის სამმართველოსათვის—გამოუქნელი ტყავეულობის ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების მე-2 მუხლის „გ" და „ი"-პუნქტების და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. ივნისის 26-ს დადგენილების თანახმად—ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი დასამზადებელი ფასები მსხვილი რქოსანი საქონლის პირველი ხარისხის ახალი ტყავის ერთ ფუთზე:

ტყავის კატეგორია	წონა ერთი ცალისა გირვანქობით.	ფასი ერთი ფუთისა მანეთობით	და კაპიკობით.
1. ხბოს ტყავი	10—18	8	50
2. მოზრდილი ხბოს ტყავი . . .	19—28	7	00
3. ძროხის ტყავი—მსუბუქი . .	29—45	6	75
4. ძროხის ტყავი—საშუალო . .	46—55	6	75
5. ძროხის ტყავი—მძიმე . . .	56—65	8	50
6. მოზვრის ტყავი—მსუბუქი .	29—40	6	50
7. მოზვრის ტყავი—საშუალო .	41—55	7	25
8. ხარის ტყავი	56—70	9	00
9. ხარის ტყავი—მძიმე	71—90	9	25
10. ხარის ტყავი განსაკუთრებული სიმძიმისა	91 და მეტი	9	50
11. კურო-მოზვრის ტყავი . . .	46—70	7	00
12. კურო-მოზვრის ტყავი- მძიმე	71—90	7	30
13. კურო-მოზვრის ტყავი განსაკუთრებული სიმძიმისა	91 და მეტი	7	60

შენიშვნა. ა) პირველი ხარისხის **„პრიმა“**-ს ეკუთვნის უზადო ტყავი და აგრეთვე ისეთი ტყავი, რასაც ქვედა პირზე შეიძლება ჰქონდეს მცირეოდენი განაჭერი, რაც ადვილად მოსცილდება ტყავის გამოქნისა და სიპრტყეზე გაჭრის დროს; ამავე ხარისხს ეკუთვნის ისეთი ტყავი, რომელსაც ნაპირებში მცირე ნახეთქი ან ძირამდე განაჭერი აქვს.

ბ) წონა გირვანქობით, აღნიშნული სვეტში „წონა ერთი ცალისა გირვანქობით“—შეეხება ტყავის წმინდა წონას.

გ) ტყავის წმინდა წონად ჩაითვლება ახალი ტყავის წონა საწყობში აწონის დროს, თვინიერ ხორცისა და ქონის ნაჭრებისა, სისხლისა, ტალახისა, პირისა, ყბისა, შუბლის ძვლისა, რქებისა, ქალასი და კუკუზნაქისა.

დ) სასაკლაოზე ახალი ტყავის წონა ნამდვილ წონაზე 5 %-თ ნაკლები ჩაითვლება.

ე) მეექვსე და მეშვიდეი კატეგორიის (მოზვრის ტყავი მსუბუქი და მოზვრის ტყავი საშუალო) ფასი ჩაითვლება არა მუშა-საქონლის ტყავის ფასად; იმავე კატეგორიის მუშა-საქონლის ერთი ფუთი ტყავის ფასი 50 კაპიკით ნაკლებია.

2. დაწესებულ იქნეს შემდეგ პროცენტული მონაკლები მეორე ხარისხისა და წუნ-დადებული ტყავის ფასზე:

ტყავის კატეგორია	წუნდადებული ტყავის ფასი ნანაკლების პირველზე.	მეორე ხარისხის ტყავ-ფასი ნაკლებია პირველზე.
1. ხბოს ტყავი	25 %	60 %
2. მოზრდილი ხბოს ტყავი . .	20 %	50 %
3. ძროხის ტყავი—მსუბუქი . .	15 %	40 %
4. ძროხის ტყავი—საშუალო .	15 %	40 %
5. ძროხის ტყავი—მძიმე . . .	10 %	30 %
6. მოზვრის ტყავი—მსუბუქი .	15 %	40 %
7. მოზვრის ტყავი—საშუალო .	15 %	40 %
8. ხარის ტყავი	10 %	30 %
9. ხარის ტყავი მძიმე	10 %	30 %
10. ხარის ტყავი განსაკუთრებული სიმძიმისა	10 %	30 %
11. კურო-მოზვრის ტყავი . . .	10 %	30 %
12. კურო-მოზვრის ტყავი –მძიმე	10 %	30 %
13. კურო მოზვრის ტყავი განსაკუთრებული სიმძიმისა . . .	10 %	30 %

შენიშვნა. ა) მეორე ხარისხს „სეკუნდა"-ს ეკუთვნის ტყავი, რომელსაც ბუნებრივი ნაკლი აქვს: მცირე ნაფხანი ადგილი, შეზრდილი მუწუკი, ნარჩოლი ადგილი, დამღა, ნაშოლტევი ადგილი; გატყავების დროს მცირე დაზიანება: განაჭერი, ნასერი და ირიბი განაჭერი; დამარილების დროს დაზიანება: დაშავებული ადგილები ტყავის განაპირა კუთხეებში.

ბ) წუნ-დადებულ ტყავად ჩაითვლება ისეთი ტყავი, რომელსაც დიდი ბუნებრივი ნაკლი აქვს და აგრეთვე გატყავების დროს თვალსაჩინოდ არის დაზიანებული ამისთანა ტყავებს ეკუთვნის ისეთი ტყავი, რომელსაც შემდეგი რაიმე დიდი ნაკლი აქვს: მუწუკი, ნაფხანი ადგილი, ნარჩოლი ადგილი, ჭრილობა, მუნი, დამღა, ნაჟეჟი ადგილი, ნაშოლტევი; გატყავების დროს დაზიანება: განაჭერი, ნასერი, ნახვრეტი და ირიბი განაჭერი; ცუდათ შენახვის ნაკლი: სიდამპლე, ნაშმორი, გახრწნის ნიშნები, ჩახურებული ადგილი, ჩამონაკიდი ადგილი, მშრალად-დამარილებულ ტყავზე დაუმარილებელი ნაკეცი ადგილი და უმარილოდ გამომშრალ ტყავზე ჩასისხლიანებული ადგილი.

3. დაწესებულ იქნეს შემდეგი ფასეულობითი შეფარდება მსხვილი რქოსანი საქონლის, სხვადასხვა გვარად დამარილებული, გამოუქნელი ტყავის ღირებულებასა და ახალი ტყავის იმ წმინდა წონის ღირებულების შორის, რაც ერთეულად ითვლება, სახელდობრ:

ა) სველად-დამარილებული გამოუქნელი ტყავეული ძვირია ახალ ტყავზე 20 %-თ.

ბ) მშრალად-დამარილებული გამოუქნელი ტყავეული ძვირია ახალ ტყავზე 100 %-თ.

გ) უმარილოდ გამომშრალი გამოუქნელი ტყავეული ძვირია ახალ ტყავზე 120 %-თ.

დ) უმარილოდ-გამომშრალი თალითინი ძვირია ახალ ტყავზე 250 %-ოთ.

ეს შეფარდება გავრცელდება ნორმალურად დამარილებულსა და კარგად გამომშრალ ტყავზე.

4. გამოუქნელი ტყავეულის ყველა მეპატრონე მოვალეა, თანასწორ პირობებში, გამოუქნელი ტყავეულის გაცემის დროს პირველ რიგში იგი საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ტყავეულობის ტრესტს მიჰყიდოს.

5. მეთვალყურეობა ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაეკისრება ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულთ ადგილობრივ და მათ წარმომადგენელთ, აგრეთვე აღმასრულებელ კომიტეტების შინა-ვაჭრობის განყოფილებათ.

6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხისგებაში იქნება მიცემული სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის
სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

სამრეწველო ნედლეულობის სამმართველოს
უფროსის მოადგილე **ბეგზადიანი.**

საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 722 №-ში 1924 წ. ნოემბრის 6-ს.

დადგენილება № 135 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1924 წ. ნოემბრის 1.

266. ნაწილობრივი სოციალური დაზღვევის გავრცელების შესახებ სასეზონო და დროებით მუშებზე მარილის მრეწველობაში.

„სასეზონო და დროებითი სამუშაოზე მომუშავე პირთა დაზღვევის შესახებ" ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1923 წ. ნოემბრის 1-ს თარიღითა და 95 №-რით გამოცემული („ა/კ. შ. ს. კ. იზვესტია"-ს მე-6 №-რი 1923 წ.) ცირკულიარისა და ს. ს. რ. კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1023 წ. ივნისის 21-ს თარიღითა და 259—53 №-რით გამოცემული ინსტრუქციის დასამატებლად—ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შრომის სახალხო კომისარიატის 1923 წ. ივნისის 21-ს თარიღისა და 259—53 №-რის ცირკულიარის მე-3 მუხლში აღნიშნულ ჯგუფს ნაწილობრივ დასაზღვევ პირებისას მიეკუთვნოს სასეზონო და დროებითი მუშები, რომელნიც მუშაობენ თვითნალექი და ქვა-მარილის ამოღებაზე, დატვირთვაზე და გამოტანაზე მარილის წარმოებისავე ადგილას.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთაგან დაზღვეულ არ უნდა იქნეს ის, ვინც თავისი ცხენით, ხარით და კამეჩით მუშაობს.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისრის მოადგილე
და სოც. დაზღ. მთავ. სამმართვ. უფრ. **ა. იაშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 724 №-ში 1924 წ. ნოემბრის 11-ს.

განმარტება ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1924 წ. ნოემბრის 10.

267. დახმარების მიცემის შესახებ იმ პირთათვის, ვინც თავისი სურვილისამებრ ერთი ადგილიდან მეორე ადგილას უნდა იქნეს გადაყვანილი.

(შრომის კანონთა კოდექსის 82 მუხლისა).

ადგილობრივ არა ერთხელ აღძრულა გაუგებრობა შრომის კანონთა კოდექსის 82 მუხ. იმ ნაწილის შეფარდების ნიადაგზე, რომლითაც დადგენილია მუშაობის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაყვანილი (საცხოვრებელი ადგილის შეცვლით) მუშა-მოსამსახურისათვის ერთდროული დახმარების მიცემა თვიური ჯამაგირის რაოდენობით და ოჯახის თვითეულ წევრზე დამატებითი დახმარების მიცემა.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ ერთდროული დახმარება გაიცემა მარტოოდენ იმ შემთხვევაში, უკეთუ მუშა-მოსამსახურის გადაყვანა მოხდება ადმინისტრაციის მოთხოვნით. ხოლო ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც გადაყვანა გამოწვეულია თვით მუშა-მოსამსახურის თხოვნით, აღნიშნული დახმარება არ უნდა იქნეს გაცემული (იმ შემთხვევის გამონაკლისით, როდესაც უკეთესი პირობა გათვალისწინებულია კოლექტიურ ან შრომის ხელშეკრულობაში).

ამა განმარტებით დადგენილი შეზღუდვა გავრცელდება აგრეთვე შრომის კანონთა კოდექსის 82 მუხ. გათვალისწინებულ საგზაო ხარჯების ანაზღაურებაზე და დღიური ფულის მიცემაზე.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ა. იაშვილი.**

ამიერკავკასიის პროფ. კავშირთა
საბჭოს თავმჯდომარის მაგიერ **ვ. შვარცი.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის
საერთო-საორგ. განყ. გამგე **ს. გოდაბრელიძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 725 №-ში 1924 წ. ნოემბრის 12-ს.

დადგენილება № 58 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. ოქტომბრის 2.

268. აზერბაიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში სამუშაოზე მყოფ სპარსეთის ქვეშევრდომ ბოგანო-გლეხთა და მუშათა განთავისუფლების შესახებ ნაციონალური პასპორტის ვიზის გამოსაღებისაგან.

რათა აზერბაიჯანის ს. ს. რ. ტერიტორიაზე მყოფ სპარსეთის ქვეშევრდომ ბოგანო-გლეხებს და მუშებს შეუმსუბუქდეს მძიმე ნივთიერი მდგომარეობა, ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

§ 1. სპარსეთის ყველა ქვეშევრდომი ბოგანო-გლეხი და მუშა და მათი ოჯახის წევრი, სულ ერთია, იქნება იგი პროფესიონალურ კავშირში თუ არა, რომელიც-კი მუშაობს სამრეწველო საწარმოში, ან სოფლის მეურნეობაში დაქირავებით, აგრეთვე ის ,ვინც საერთო-სასარგებლო შრომას ეწევა,—სამშობლოში (სპარსეთში) დაბრუნების დროს,—სამუდამოდ ბრუნდება იგი თუ დროებით,—განთავისუფლდება იმ გამოსაღების გადახდევინებისაგან, რაც დადგენილია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველობას განყოფილების მიერ ნაციონალური პასპორტის ვიზისათვის.

§ 2. წინა მუხლში აღნიშნული გამოსაღებისაგან განთავისუფლდება მხოლოდ ის, ვინც წარადგენს დამამტკიცებულ საბუთს, რომ იგი ეკუთვნის ერთ-ერთ ზემოდ ჩამოთვლილ პირთა კატეგორიას. ამის დასამტკიცებლად მიიღება:

ა) პროფესიონალური კავშირის საწევრო წიგნაკი;

ბ) ანგარიშის გასწორების წიგნაკი;

გ) შრომის ბირჟის საალნუსხვო წიგნაკი;

დ) მოწმობა რაიმე საერთო-სასარგებლო მნიშვნელობის სამუშაოს შესრულების შესახებ დაქირავებით;

ე) სოფლის საბჭოს მოწმობა დაქირავებით სამუშაოზე ყოფნის შესახებ, აგრეთვე სხვა რამ მოწმობა, დოკუმენტი და ხელშეკრულობა, რაც ამტკიცებს, რომ ესა თუ ის პირი მუშაა, ან ბოგანო-გლეხი, ან-და წევრია მუშისა ან ბოგანო-გლეხის ოჯახისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივნის თან. დრ. აღმ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 725 №-ში 1924 წ. ნოემბრის 12-ს.

ინსტრუქცია

269. ა/კ. ს. ფ. ს. რ. სასაქონლო-საფონდო ბირჟებისათვის—ბირჟის გარეშე დადებულ სასაქონლო გარიგებათა რეგისტრაციის შესახებ.

1924 წ. ოქტომბრის 17.

(გამოცემულია ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. სექტემბრის 19-ს თარიღისა და 46 №-რის დადგენილების განსავითარებლად)

1. ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. სექტემბრის 19-ს თარიღისა და 46 №-რის დადგენილებას—„ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა რეგისტრაციის შესახებ“ („ზარია ვოსტოკა“-ს 589 №-რი 1924 წ. სექტემბრის 28-სა) მიზნად აქვს, რაც შეიძლება სრულად გამოაშკარავებულ იქნეს სავაჭრო ბრუნვა და შესწავლილი საქონლის ბაზარი, რაც საბირჟო ვაჭრობის ფარგლის გარეშე რჩება.

2. ყველა სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, კოოპერატიული ორგანიზაცია და შერეული საზოგადოება წარადგენს სასაქონლო-საფონდო ბირჟაში ცნობას მათ მიერ ბირჟის გარეშე დადებული გარიგების შესახებ საქონლის ყიდვისა და გაყიდვის თაობაზე და საქონლის ნატურალურ გაცვლა-გამოცვლის თაობაზე, როგორც თავიანთ შორის, ისე კერძო საწარმოსა და პირთან, სამის დღის ვადაზე დღიდან გარიგების დადებისა.

3. სავალდებულო რეგისტრაცია უნდა ექნეს ყველა—ბირჟის გარეშე—დადებულ გარიგებას, უკეთუ იგი 500 მან. და მეტი თანხისაა—ტფილისისა და ბაქოსათვის და 300 მან. და მეტი თანხისაა—დანარჩენი ქალაქებისათვის (საწყობში და მაღაზიაში გაყიდულის გამოუნაკლისად)

შენიშვნა 1. ვაგონობითი გარიგებისათვის რეგისტრაცია სავალდებულოა იმის მიუხედავად, რა თანხისაც უნდა იყოს იგი.

შენიშვნა 2. გარიგების განგებ დანაწილება სავალდებულო რეგისტრაციის თავიდან აცილების მიზნით აკრძალულია.

შენიშვნა 3. საქონლის გაცვლა-გამოცვლის გარიგებანი—ერთ გარიგებად ჩაითვლება; ამასთანავე განაცვალი საქონლის ღირებულება, უკეთუ იგი შეფასებული არ იქნება, განისაზღვრება სასაქონლო-საკოტერო კომისიის ფასების მიხედვით.

4. რეგისტრაცია უნდა ექნეს ყველა გარიგებას საქონლის ნასყიდობისა (სხვათა შორის—ყიდვა-მიწოდების გარიგებასაც) და საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესახებ; ამასთანავე გარიგება—სავაჭრო გარიგებად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიაც, თუნდაც მარტო ერთი კონტრაგენტთაგანი (მხარე) სავაჭრო საწარმო იყოს, ე. ი. აწარმოებდეს ვაჭრობას (ან წარმოებითი საქმეს) მრეწველობის სახით.

5. ნასყიდობისა (სხვათა შორის ყიდვა-მიწოდებისაც) და საქონლის გაცვლა-გამოცვლის გარიგებას რეგისტრაცია უნდა ექნეს იმის მიუხედავათ, თუ რა წესით არის დადებული იგი (მხარეთა მიერ უშუალოდ, რწმუნებულთა და კომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიონერთა მეშვეობით და სხვ.), აგრეთვე იმის მიუხედავად, თუ რა ხასიათის პირობებია განსაზღვრული ანგარიშის გასწორებისათვის (ნაღდად თუ კრედიტით), რა ვადებია და სხვ.

6. იმ გარიგებას, რომლის ძალითაც ტრესტი ან სხვა სახელმწიფო ორგანო გაასხვისებს შენაერთზე ან შეიძენს შენაერთისაგან, სინდიკატისაგან და სხვ. საქონელს, უნდა ექნეს რეგისტრაცია, იმის მიუხედავად, იღებს თუ არა ხსენებული ტრესტი ან სახელმწიფო ორგანო მონაწილეობას აღნიშნულ შენაერთში (სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს განყოფილებანი და სხვ.)

7. საქონლის ექსპორტისა და იმპორტისათვის ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებას, უკეთუ იგი ქმნილია ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფარგალში, უნდა ექნეს რეგისტრაცია.

8. სავალდებულო რეგისტრაციისაგან განთავისუფლდება:

ა) სამხედრო უწყების გარიგება წითელი არმიისა და საგანგებო კომისიის ჯარის ყოველგვარი საგნით მომარაგების შესახებ., რომელი გარიგებაც დადებულ იქნება საორიენტაციო და სახარჯთაღრიცხვო ფასების მიხედვით;

ბ) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გარიგება მილიციის შეიარაღებისა და სპეციალური მომარაგების საგნების შესახებ;

გ) გარიგება კულტურულ-განმანათლებელ გამოცემათა შესახებ (წიგნები, სახელმძღვანელო და სხვ.);

დ) გარიგება მუშათა და მოსამსახურეთათვის კოლლექტიური კრედიტის აღმოჩენის შესახებ;

ე) ნარდად მუშაობის ხელშეკრულება;

ვ) საკომისიო მინდობილობის ხელშეკრულობა.

შენიშვნა. საკომისიო მინდობილობით მოხდენილ საქონლის რეალიზაციას რეგისტრაცია უნდა ექნეს საერთო წესისამებრ.

9. ბირჟის კომიტეტს უფლება აქვს გაანთავისუფლოს რეგისტრაციისაგან ის გარიგება, რომელიც აშკარად დადებულია არა-საბირჟო საქონელზე და უნდა აცნობოს ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს სათანადო დადგენილება საქონლის ნომენკლატურის აღნიშვნით.

10. ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებას კერძო პირთა შორის და იმ ორგანიზაციათა შორის, რომელნიც არ შეეფერებიან ამა ინსტრუქციის მე-2 და 3 მუხ. მოთხოვნას, რეგისტრაცია უნდა ექნეს ერთ-ერთი მხარის თხოვნით.

11. ბირჟის გარეშე დადებული გარიგების რეგისტრაცია უნდა მოახდინოს გამყიდველმა, ხოლო უკეთუ იგი განთავისუფლებულია სავალდებულო რეგისტრაციისაგან,—მყიდველმა.

12. რეგისტრაციის დროს ბიუროში წარდგენილ უნდა იქნეს ორ ცალად დადგენილი ფორმით ცნობები ბირჟის გარეშე დადებული გარიგების შესახებ; ეს ცნობები უნდა შეიცავდეს ყოველივე იმას, რაც-კი საჭიროა გარიგების ყოველმხრივი განხილვისათვის, კონტრაგენტებისა, თანხისა, საქონლისა, ხარისხისა, რაოდენობისა, აღსრულების ადგილისა და ანგარიშის გასწორების თაობაზე. ცნობა იმ გარიგების შესახებ, რომელიც ქმნილია შუამავლის მონაწილეობით, უნდა აღნიშნავდეს შუამავლის გასამრჯელოს რაოდენობას.

შენიშვნა. უკეთუ, გარიგების პირობების თანახმად, საბაჟო და საქციზო გამოსაღებისათვის გადასახდელი თანხა გადატანილია მყიდველზე და მოთავსებული არ არის გარიგების საერთო თანხაში, ამ უკანასკნელი თანხის განსაზღვრის დროს, რეგისტრაციის მიზნით ზემოაღნიშნული გამოსაღების თანხა ანგარიშში არ უნდა იქნეს მიღებული და სარეგისტრაციო გამოსაღებით არ უნდა დაიბეგვროს.

13. ის დაწესებულება, რომელიც გარიგების რეგისტრაციას მოახდენს, მოვალეა ბიუროს მოთხოვნით, წარადგინოს დამატებითი ცნობა და განმარტება გარიგების შესახებ, აგრეთვე წესდება და დებულება, რომლის საფუძველზედაც იგი მოქმედობს.

14. ისეთი გირიგების რეგისტრაციის დროს, რომლის თანხაც გამორკვეული არ არის, აღნიშნულ უნდა იქნეს, სავაჭრო ბრუნვის თავის დორზე აღნუსხვის მიზნით, დაახლოვებითი თანხა, რაც გარიგების დადების მომენტში იქნება, და დამატებით წარდგენილ უნდა იქნეს სწორე ცნობა თანხის შესახებ მისი გამორკვევისათანავე.

15. სარეგისტრაციო ბიუროში ორ ცალად წარსადგენ ცნობას ბირჟის გარეშე დადებული გარიგების შესახებ ხელს მოაწერს დაწესებულების პასუხისმგებელი პირი, რომელიც უფლებამოსილია ცნობის წარდგენისათვის, და დაესმის დაწესებულების ბეჭედი; ცნობის ერთი ცალი დარჩება ბიუროში, ხოლო მეორე ცალი დაუყონებლივ დაებრუნება ცნობის წარმდგენ დაწესებულებას სარეგისტრაციო ბიუროს აღნიშვნით, რომ რეგისტრაცია მოხდენილია, და მისივე ბეჭდის დასმით.

16. იმ გარიგებას, რომელშიაც კონტრაგენტის სახით მონაწილეობას მიიღებს უცხოელი ფირმა, რეგისტრაცია უნდა ექნეს მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც გამორკვეულ იქნება, რომ უცხოელ ფირმას აქვს სათანადო მოწმობა სავაჭრო ოპერაციების წარმოებისათვის.

17. საქონლის იმპორტისა და ექსპორტის გარიგების რეგისტრაციის დროს (ინსტრუქციის მე-7 §) თავისი გარიგების მომხდენი დაწესებულება შოვალეა წარუდგინოს ბიუროს სათანადო ლიცენზია (ან მისი ასლი).

18. ბირჟის გარეშე დადებული გარიგების რეგისტრაციის დროს, უკეთუ ამ გარიგების თანხა უცხოეთის ვალიუტით არის აღნიშნული, ეს თანხა გადატანილ უნდა იქნეს საბჭოთა ვალიუტაზე გარიგების დადების დღის კურსით.

19. დაწესებულება და საწარმო მოვალეა თავისი გარიგების რეგისტრაცია მოახდინოს სამის დღის განმავლობაში გარიგების დადების დღიდან; ამასთანავე, უკეთუ ამ ხნის განმავლობაში უქმე-დღე იქნება, რეგისტრაციის ვადა სათანადოდ გახგრძობილ უნდა იქნეს.

შენიშვნა. დამატებითი ცნობა გარიგების თანხისა და სხვ. შესახებ (ინსტრუქციის მე-14 §) წარდგენილ უნდა იქნეს იმავე ვადაზე მათი გამორკვევის მომენტიდან; თანაც აღნიშნულ უნდა იქნეს თავდაპირველი რეგისტრაციის თარიღი.

20. გარიგების დადების დრო განისაზღვრგბა: 1) შეთანხმების მომენტით, როდესაც გარიგება სიტყვიერია; 2) ხელშეკრულების მოწერის მომენტით, როდესაც

ხელშეკრულობა არა საჭიროებს უმაღლესი ინსტანციის დამტკიცებას; 3) უმაღლესი ინსტანციიის მიერ ხელშეკრულობის დამტკიცების მომენტით, როდესაც ეს დამტკიცება სავალდებულოა; 4) წინადადებაზე თანხმობის შესახებ შეტყობინების მიღების მომენტით, როდესაც ხელშეკრულება დადებულია სხვაგან მყოფთა შორის.

21. ისეთი ხელშეკრულების რეგისტრაციის დროს, რომელზედაც ვრცელდება სამოქალაქო სამართლის კოდექსის მოქმედება, სავალდებულო სანოტარო შემოწმების შესახებ,—მე-12 §-ში აღნიშნულ ცნობების გარდა, წარდგენილ უნდა იქნეს იმ დოკუმენტების (ხელშეკრულება, დაკვეთა და წერილი, ანგარიში და სხვ.) ასლი, რომლის საფუძველზედაც დადებულია გარიგება.

22. ცნობები გარიგების შესახებ შეიძლება გაიგზავნოს ფოსტით ამა ინსტრუქციის წესებისამებრ; ამასთანავე სარეგისტრაციო ბიუროში ცნობების წარდგენის დღედ ჩაითვლება ფოსტის შტემპელის თარიღი.

23. სარეგისტრაციო გამოსაღები შეიტანება ბირჟის კომიტეტის სალაროში სრულად გარიგების რეგისტრაციის მომხდენი დაწესებულების მიერ სარეგისტრაციო ბლანკის წარდგენასთან ერთად.

24. ბირჟის გარეშე დადებული გარიგების რეგისტრაციისათვის დაწესდება შემდეგი რაოდენობის გამოსაღები გარიგების თანხის მიხედვით:

ა) ხორბლისა, სიმინდისა, ქერისა, ფქვილისა, ქატოსი, მარილისა, ხორცისა, თევზისა, პირუტყვ-საქონლისა, შაქრისა, ფართლეულისა, ნავთის პროდუქტისა და ხისა და ქვის ნახშირის შესახებ დადებულ გარიგებაზე $^2/_3$ პროცენტის რაოდენობით ორივე მხარისათვის.

ბ) ყველა დანარჩენ გარიგებაზე—$^1/_4$ პროცენტის რაოდენობით.

შენიშვნა 1. კოოპერატიული ორგანიზაციები თავიანთ შორის დადებული გარიგებისათვის სარეგისტრაციო გამოსაღებს არ გადაიხდიან; ხოლო ეს არ ანთავისუფლებს მათ სარეგისტრაციო ცნობების წარდგენისაგან.

შენიშვნა 2. გარიგების ნებაყოფლობითი წესით რეგისტრაციისათვის დაწესებული სარეგისტრაციო გამოსაღები გადახდევინებულ უნდა იქნეს 50 პროცენტის რაოდენობით.

შენიშვნა 3. ინფორმაციის სახით წარდგენილი ცნობა გარიგების შესახებ გამოსაღებით არ დაიბეგვრება.

25. სარეგისტრაციო გამოსაღები იმ გარიგებისათვის, რომელიც უკვე რეგისტრაციაქმნილია სარეგისტრაციო ბიუროში, ხოლო შემდგომ გაბათილებულად ცნობილია ან მოშლილი, უკან აღარ დაიბრუნება.

26. ბირჟის გარეშე დადებული გარიგების რეგისტრაცია ბირჟაზე, სამოქალაქო სამართლის კოდექსის თანახმად, ეთანაბრება სანოტარო შემოწმებას, ამიტომ მისი შემოწმება სანოტარო წესით სავალდებულო არ არის.

შენიშვნა. იმ ხელშეკრულობის ნოტარიუსთან შემოწმება, რომელსაც რეგისტრაცია უნდა ექნეს, არ ანთავისუფლებს ხელშეკრულობას ბირჟაზე რეგისტრაციისაგან.

27. ბირჟის გარეშე დადებული გარიგების შესახებ მიღებული ცნობები შეიტანება განსაკუთრებულ სარეგისტრაციო დავთრებში, რაც ზონარგაყრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბირჟის ბეჭედ-დასმული უნდა იყოს; დავთარში შეტანილ უნდა იქნეს სარეგისტრაციო ბლანკის ყველა ცნობა, რომელიც, სარეგისტრაციო ბიუროს მიერ განხილვის შემდეგ, გაიგზავნება სასაქონლო-საკოტერო კომისიაში საკოტეროდ, რაც უნდა მოხდეს სამის დღის ვადაზე.

28. გარდა სარეგისტრაციო ბიუროს წევრებისა, გარიგების დამდებ მხარეთა, სასამართლო ორგანოებისა და იმ პირებისა, რომელთა შესახებ განკარგულებას გასცემს ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანო, სარეგისტრაციო დავთრებთან მიშვებულ არავინ არ უნდა იქნეს. ამ დავთრებს შეეფარდება იგივე წესები, რაც სამაკლერო დავთრებს.

29. რეგისტრაციაქმნილ გარიგების კონტრაგენტს უფლება აქვს მიიღოს ბიუროდან მოწმობა გარიგების რეგისტრაციის შესახებ.

30. იმ დაწესებულებისა და საწარმოს მიერ ჩადენილი ყოველი დარღვევის თაობაზე, რომელზედაც ვრცელდება ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის სექტემბრის 19-ს თარიღისა და 46 ნომრის დადგენილება—გარიგებათა სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ,—ბირჟის ბიურო აცნობებს ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ან მის ადგილობრივ. ორგანოს დამნაშავის პასუხისგებაში მიცემისათვის სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისრის მოადგილე **გამყრელიძე**.

ვაჭრობის მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **სტეფანიანი**.

საქმეთა მმართველი **ეირანოვი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 727 №-ში 1924 წ. ნოემბრის 14-ს.

დ ე გ უ ლ ე ბ ა

270. ა/კ. ს. ფ. ს. რ. სასაქონლო-საფონდო ბირჟებთან არსებულ სარეგისტრაციო ბიუროთათვის—ბირჟის გარეშე დადებული გარიგების რეგისტრაციის შესახებ.

ბიუროს შედგენილობა.

1. ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა რეგისტრაციისათვის თვითეულ სასაქონლო-საფონდო ბირჟასთან დაარსდება სარეგისტრაციო ბიურო.

2. სარეგისტრაციო ბიურო შესდგება თავმჯდომარისა და ორი წევრისაგან, რომელთაც აარჩევს ბირჟის კომიტეტი ერთის წლის ვადით ბირჟის კომიტეტის წევრთა შედგენილობიდან.

3. ბიუროს არჩევისათანავე ბირჟის კომიტეტი აარჩევს ბიუროს წვერთა კანდიდატებს, რომელნიც იმ წევრთა მაგიერობას გასწევენ, ვინც რაიმე მიზეზით ბიუროდან გამოვა.

4. ბიუროს ჰყავს მდივანი, რომელსაც დანიშნავს ბირჟის კომიტეტი.

ბიუროს კომპეტენცია

5. სარეგისტრაციო ბიუროს დაეკისრება:

ა) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა რეგისტრაციის საქმეს და გადასწყვიტის რეგისტრაციის დროს აღძრული სადავო საკითხები;

ბ) მოითხოოს სათანადო დაწესებულებიდან დამატებითი ცნობები, უკეთუ გარიგების შესახებ წარდგენილი ცნობები სრული არ იქნება;

გ) განიხილოს გარიგება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეესაბამება იგი ეკონომიურ მიზანშეწონილობის მოთხოვნას და ბაზრის პირობებს გარიგების პირობათა მთლიანობის მიხედვით.

დ) აცნობოს ეკონომიური მიზანშეწონილობის მოთხოვნათა დარღვევით დადებული გარიგება შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატსა და იმ დაწესებულებას, რომლის გამგებლობაშიაც იმყოფება ასეთი გარიგების დამდები საწარმო;

ე) გასცეს მოწმობები გარიგებათა რეგისტრაციის შესახებ.

ბიუროს საქმისწარმოების წესი.

6. ბიუროს სხდომები მოხდება იმ დღეებში, რომელსაც დააწესებს ბირჟის კომიტეტი.

7. ბიუროს სხდომა კანონიერად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, უკეთუ მთლად მისი შედგენილობა დაესწრო; არ-დამსწრე წევრის მაგიერობას გასწევს კანდიდატი.

8. ბიუროს გადაწყვეტილება მიიღება ხმის მარტივი უმეტესობით.

9. ბიუროს დადგენილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს დაინტერესებული დაწესებულებისა და პირის მიერ ბირჟის კომიტეტში.

10. ის გარიგება, რომელიც ბიუროს მიერ ცნობილ იქნება როგორც ბაზრის პირობების შეუსაბამო გარიგება, აღინიშნება ოქმში, რასაც ხელს მოაწერს ბიუროს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე და მდივანი.

11. ბიუროს სხდომას, თავჯდომარის ნებართვით, შეიძლება დაესწრნენ გარეშე პირნი (ექსპერტი, კონსულტანტი და სხვ.), ხოლო არა-გადამწყვეტი ხმით.

12. ბიუროს წევრი მიიღებს ბირჟის კომიტეტის მიერ დაწესებულ გასამრჯელოს თვითეული დასწრებისათვის ბიუროს სხდომაზე.

13. სარეგისტრაციო ბიუროს და მისი ტეხნიკური პერსონალის შესანახი ყველა ხარჯი დაიფარება ბირჟის კომიტეტის სახსარით.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

ვაჭრობის მოწესრიგების სამმართველოს
უფროსი **სტეფანიანი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის
საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნაბულია „ზარია ვოსტოკა"-ს 727 №-ში 1924 წ. ნოემბრის 14-ს.

დადგენილება № 136 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1924 წ. ნოემბრის 13.

271. 1924 წ. ნოემბრის თვის სამუშაო ხელფასის მინიმუმის შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს 1924 წ. ნოემბერის თვისათვის ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მინიმალურ სამუშაო ხელფასად 7 მან.

2. თვიური გასამრჯელო, რასაც მშრომელი იღებს, არ შეიძლება ნაკლები იყოს ამა დადგენილების 1-ლი მუხ. დაწესებული განაკვეთისა და აღნიშნული განაკვეთი არის ის მინიმალური სამუშაო ხელფასი ნორმალური სამუშაო დროისათვის, რაზედაც ნაკლები არც ერთ სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებას თუ საწარმოს უფლება არა აქვს გადაიხადოს.

შენიშვნა. ის კოლექტიური ხელშეკრულება და სატარიფო შეთანხმება, რომელიც ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნულ სახელმწიფო მინიმუმზე ნაკლებ განაკვეთს შეიცავს, უკანონოა და რეგისტრაციაში გატარებულ არ უნდა იქნეს.

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სასამართლოს წესით.

ამიერკავკასიის შრომის
სახალხო კომისრის მოადგილე **ა. იაშვილი.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო
კომისარიატის სატარიფო განყ. გამგის მაგიერ **მ. ლეინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა"-ს 727 №-ში 1924 წ. ნოემბრის 14-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. ნოემბრის 10.

272. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხის შესახებ ადგილობრივ საჭიროებათათვის.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ 1924 წ. აპრილის 24-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის 15 მუხ. თანახმად — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ადგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულებებისა, სკოლებისა, საავადმყოფოებისა, ხიდების შესანახად და სხვ. ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯებისათვის ამა წლის ოქტომბრის 1-დან დაწესდეს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ძირითადი თანხის ანარიცხი 25 პროცენტის რაოდენობით.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ანარიცხი ჩაირიცხება ადგილობრივი ორგანოების შემოსავალში.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ს. იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 731 №-ში 1924 წ. ნოემბრის 19-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1924 წ. ნოემბრის 10.

273. საგადასახადო შეღავათის შესახებ ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ. ოქტომბრის 3-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება—„საგადასახადო შელავათის შესახებ მოკავშირე რესპუბლიკების წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებათათვის“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ს. იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 731 №-ში 1924 წ. ნოემბრის 19-ს.

დადგენილება ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი.

საგადასახადო შელავათის შესახებ მოკავშირე რესპუბლიკების წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებათათვის.

ს. ს. რ. კავშირის ცანტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

განთავისუფლებულ იქნენ ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი გადასადისა და გამოსაღებისაგან მოკავშირე რესპუბლიკების წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებათა დაწესებულებანი, რომელნიც ანხორციელებენ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებათათვის უშუალოდ დაკისრებულ მიზნებს, როგორიც არის მაგალითად: აფთიაქი, სანატორიუმი, დასვენების სახლი და ამგვარივე სხვა დაწესებულება, უკეთუ ამ საწარმოთა შემოსავალი მოხმარდება მთლად წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-მთვარის საზოგადოებისათვის დაკისრებულ მიზანთა განხორციელების საქმეს.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ნარიმანოვი.**

ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ლ. კამენევი.**

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. ენუქიძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 731 №-ში 1924 წ. ნოემბრის 19-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1994 წ. ნოემბრის 10.

413

274. საზღვარგარეთ სპირტის გატანის დროს გაწეული ხარჯების დასაფარავად არსებული უაქციზო ანარიცხის რაოდენობის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

მე-II მუხლის მე-2 პუნქტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. სექტემბრის 29-ს დადგენილებისა—„ექსპორტისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა თაობაზე ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემული დადგენილების დამატების შეასახებ“ და ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებისა—„საზღვარგარეთ აქციზდასადები საგნების გატანის შესახებ აქციზის მოხსნით“—მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. საგზაო ხარჯების დასაფარავად: ა) როდესაც სპირტი ბოჭკით იგზავნება, გზაში ყოფნის პირველი დღისათვის—0,5 პროც. და ყოველი შემდგომი დღისათვის—0,1 პროც., ხოლო, საერთოდ, არა უმეტეს 6 პროცენტისა მთლად სპირტის რაოდენობაზე, რაც ტრანსპორტთან გატანებულ დოკუმენტშია აღნიშნული, და ბ) როდესაც სპირტი ვაგონ-ცისტერნით იგზავნება—გზაში ყოფნის პირველი დღისათვის—0,3 პროც., და ყოველი შემდგომი დღისათვის—0,02 პროც., ხოლო, საერთოდ, არა უმეტეს $1\frac{1}{2}$ პროცენტისა მთლად სპირტის რაოდენობაზე, რაც ტრანსპორტთან გატანებულ დოკუმენტშია აღნიშნული.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებული
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ს. იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 731 №-ში 1924 წ. ნოემბრის 19-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1924 წ. ნოემბრის 10.

275. ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და აზერბაიჯანის ს. ს. რ., სომხეთის ს. ს. რ. და საქართველოს ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათა გათანაბრების შესახებ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებთან ყოველგვარი გადასახადისა, გამოსაღებისა და ბეგარის სფეროში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ემყარება საბჭოთა მე-2 სრულიად-საკავშირო ყრილობის დადგენილებას—გლეხთა მოსახლეობისათვის რაც შეიძლება, ახლანდელ პირობების მიხედვით, იაფი კრედიტის აღმოჩენის შესახებ და— ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და სასოფლ-სამეურნეო კრედიტის დაწესებულებათათვის მათი წესდებითა და სპეციალური დადგენილებებით მინიჭებულ შეღავათების დამატებად—ადგენს:

ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი და ყველა დაწესებულება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემაში შედის, გათანაბრებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებთან—ყველა, როგორც საერთო-საკავშირო, ისე ადგილობრივ გადასახადისა, გამოსაღებისა და ბეგარისა, სოციალური დაზღვევის გადასახადის გამოუნაკლისად, და აგრეთვე საიჯარო გადასახდელის სფეროში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ს. იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 731 №-ში 1924 წ. ნოემბრის 19-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1924 წ. ნოემბრის 10.

276. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თაობაზე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოცემული დეკრეტის დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. აპრილის 24-ს თარიღის დეკრეტს (გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 562 №-ში 1924 წ. აპრილის 27-ს) დაემატოს შემდეგი:

საგლეხო კოოლექტიურ და კოპერატიულ მეურნეობას, რომელიც გამოიყენებს მიწის საზოგადოებრივი წესით შეამუშავებას, მიეცემა შეღავათი მონაკლების სახით: პირველს 25 პროც. და მეორეს—10 პროც. მისთვის შეწერილი გადასახადისა და ამ გადასახადის ზედნართისა—ადგილობრივ საჭიროებათათვის—, უკეთუ ეს კოლექტივი და კოოპერატივი თავის მეურნეობას მუშების დაუქირავებლად აწარმოებს

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ს. იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 731 №-ში 1924 წ. ნოემბრის 19-ს.

დადგენილება № 60 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

1924 წ. ნოემბრის 18.

277. სახელმწიფო შემოსავლის ზოგიერთი კატეგორიის გადასახდელის უდავო წესით გადახდევინების შესახებ.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მუხ. 1. ყოველგვარი საგადასახადო ხასიათის ბაჟი და გამოსაღები გადახდევინებულ უნდა იქნეს იმ წესების მიხედვით, რაც დადგენილია გადასახადებისა და გამოსაღების გადახდევინების დებულებით (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონთა კრებ. 1923 წ. მე-7 №-რი, მუხ. 81), უკეთუ მათი გადახდევინებისათვის დადგენილ არ არის სპეციალური წესები.

მუხ. 2. გადასახადებისა და გამოსაღების გადახდევინების დებულებით დადგენილი უდავო წესი გადახდევინებისა გავრცელდება საიჯარო გადასახდელის და საურავის გადახდევინებაზე იმ ხელშეკრულებათათვის, რომლითაც სახელმწიფო

საადგილმამულო ქონება გაცემულია სარგებლობის სახით, ისეთ შემთხვევაში, როდესაც შესატანი გადასახდელი არ იქნება წარდგენილი ერთი თვის განმავლობაში ხელშეკრულობით დადგენილი ვადის შემდეგ.

მუხ. 3. სახელმწიფო ქონების იჯარით გამცემი დაწესებულება მოვალეა წარუდგინოს ხოლმე მე-2 მუხ. აღნიშნული ხელშეკრულობის ასლი ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში და აცნობოს მას ყველა ის შემთხვევა, როდესაც ხელშეკრულობაში აღნიშნული ვადა გადასახდელის შეტანისა გადაცილებულ იქნება უმეტეს ერთის თვისა, რათა გადაუხდელი თანხა ჩარიცხულ იქნეს ნარჩენად და გადახდევინებულ იყოს საფინანსო განყოფილების განკარგულებით.

მუხ. 4. საჩივარს საიჯარო ხელშეკრულობით (მუხ. 2) საიჯარო გადასახდელისა და საურავის არა სამართლიანად გადახდევინების შესახებ განიხილავს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო. განსაჩივრება გადახდევინებას ვერ შეაჩერებს.

მუხ. 5. ყველა გადასახდელის შესახებ, რაც სახელმწიფოს ერგება 1-ლი მუხლის მიხედვით, აგრეთვე, რაც სესხია (გარდა საბანკო სესხისა) დასაბრუნებული და მისი პროცენტი ან დადგენილი წესისამებრ დადებული ჯარიმა, სათანადო დაწესებულება აცნობებს ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, რათა მან თვალყური ადევნოს ამ თანხების შემოსვლას და, უკეთუ ერთ თვეზე მეტი ვადა იქნება გადაცილებული, გადაახდევინოს უდავო წესით.

მუხ. 6. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა უნდა იქონიოს მეთვალყურეობა, რათა თავის დროზე შედიოდეს ხაზინის შემოსავალში, თანახმად საბოლოოდ დამტკიცებული ანგარიშებისა და ბალანსებისა, სახელმწიფო საწარმოთა მოგება, აგრეთვე ის მოგება, რაც შეტანილ უნდა იქნეს სახელმწიფო ხაზინაში შერეულ საზოგადოების მონაწილე სახელმწიფო ორგანოს მიერ.

უკეთუ ამა მუხლში გათვალისწინებული თანხები შეტანილ არ იქნება, ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული გადაახდევინებს ამ თანხებს უდავო წესით, რაც დადგენილია გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინების დებულებით.

მუხ. 7. სათანადო ღონისძიებათა მიუღებლობა სახელმწიფო შემოსავლისა და გამოსაღების გადახდევინებისათვის, აგრეთვე საამისო ცნობების შეუტყობინებლობა საფინანსო ორგანოებისათვის დაისჯება ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლისამებრ.

მუხ. 8. ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაევალება, დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, შეიმუშაოს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის და შეიტანოს იგი დასამტკიცებლად ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოში.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ. დროებ. აღმ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 732 №-ში 1924 წ. ნოემბრის 20-ს.

დადგენილება № 19 აპ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1924 წ. ნოემბრის 17.

278. ჩაქვის ჩაის საბითუმო საგასაცემო ფასის შესახებ.

„შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების“ შესახებ ა/კ ცენ. აღმ. კ-ს მიერ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 პ. „გ“ ლიტერის თანახმად — ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს საქართველოს ს. ს. რ. ჩაქვის სახალხო მამულის 1923 წლის მოსავლის ჩაისათვის შემდეგი უკიდურესი საბითუმო საგასაცემო ფასები საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ფრანკო-საწყობი:

უმაღლესი ხარისხი: ერთი გირვანქა სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციისათვის—2 მან. და 10 კაპ., კერძო ვაჭრობისათვის—2 მან. და 20 კაპ. პირველი ხარისხი—სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციისათვის—1 მან. და 85 კაპ., კერძო ვაჭრობისათვის—1 მან. და 95 კაპ.

2. დაწესებულ იქნეს უკიდურესი ცალობითი და საგასაცემო ფასები სახელმწიფო ვაჭრობისა, კოოპერაციისა და კერძო ვაჭრობისათვის:

უმაღლესი ხარისხი: ერთი გირვ. ქ. ტფილისისათვის—2 მან. და 40 კაპ.; ა/კ. ს ფ. ს. რ. დანარჩენი ადგილებისათვის—2 მან. და 45 კაპ.; პირველი ხარისხი ტფილისისათვის—2 მან. და 10 კაპ., სხვა ადგილებისათვის—2 მან. და 15 კაპ.

3. ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა ა/კ. ს. ფ. ს. რ ში შემავალ რესპუბლიკებში უნდა იქონიონ მეთვალყურეობა, რათა დადგენილება ესე უკლებლივ იქნეს შესრულებული

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

5. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. შინა-
ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

ვაჭრობის მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **სტეფანიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. შინა-
ვაჭრობის სახ. კომისარიატის საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 732 №-ში 1924 წ. ნოემბრის 20-ს.

დადგენილება № 18 ა/კ ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1924 წ. ნოემბრის 17.

279. შირის ტრესტის ნაკეთობის საბითუმო საგასაცემო ფასის დაწესების შესახებ.

„შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ ა/კ. ცენ. აღმ. კომ-ს მიერ 1924 წ. იანვრის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 პ. „გ“ ლიტერის თანახმად—ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შირის ტრესტის ტფილისისა და ბაქოს განყოფილების მიერ სახელმწიფო ვაჭრობისა, კოოპერაციისა და კერძო ვაჭრობისათვის გასაცემ. შირის ნაკეთობაზე დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი საბითუმო საგასაცემო ფასი.

1) „შირის ბოტიკები“ მამაკაცისა—3 მან. და 70 კაპ. წყვილი; 2) დაბალყელიანი „ბოტიკები“ მამაკაცისა მე-17 ნომრამდე—3 მან. და 50 კაპ. წყვილი; 3) მამაკაცის გალოშები 3 მან., 4) ქალის გალოშები 3 მან.; 5) გალოშები K. T.—4 მან. და 25 კაპ. წყვილი; 6) ბავშვის (ვაჟი) გალოშები—2 მან. და 55 კაპ. წყვ.; 7) მოზარდი ქალის გალოშები—1 მან. და 95 კ. წყვ.; 8) ბავშვის გალოშები—1 მან, და 65 კაპ. წყვ. 9) ვაჟის (მოზარდი) „ბოტიკები“—3 მან. და 50 კაპ. წყვ.; 10) ბრეზენტის ფეხსაცმელი—3 მან. წყვ.; 11) შირის ჩექმები C 145—14 მან. წყვ.; 12) შირის ჩექმები C 147—19 მან. წყვ.; 13) „ბოტიკი“ 370 უბეწვო—6 მან. და 80 კაპ. წყვ.; 14) „ბოტიკი“ 326 ბეწვიანი—8 მან. და 50 კაპ. წყვ.

2) უკიდურესი საგასაცემო ცალობითი ფასები სახელმწიფო ვაჭრობისა, კოოპერაციისა და კერძო ვაჭრობის საგასაცემო ადგილებში დაწესებულ იქნეს:

	ტფილისისა და ბაქოსათვის.	ა/კ. ს. ფ. ს. რესპ. სხვა ადგილების.
„შირის ბოტიკები“ მამაკაცისათვის . .	4 მან.	4 მან. ₾ 20 კაპ.
მამაკაცის დაბალყელიანი „ბოტიკები“ 17 ნომრამდე	3 მან. და 85 კაპ.	4 მან.
მამაკაცის გალოშები	3 „ „ 30 „	3 „ „ 45 „
ქალის გალოშები	3 „ „ 30 „	3 „ „ 45 „
ქალის გალოშები K. T.	4 „ „ 75 „	4 „ „ 95 „
ვაჟის (მოზარდის) გალოშები	2 „ „ 85 „	3 „
მოზარდი ქალის გალოშები	2 „ „ 15 „	2 „ „ 25 „
ბავშვის გალოშები	1 „ „ 85 „	1 „ „ 95 „
ვაჟის (მოზარდის) „ბოტიკები“ . . .	3 „ „ 85 „	4 „
ბრეზენტის ფეხსაცმელი	3 „ „ 30 „	3 „ „ 45 „
შირის ჩექმები C 145	16 „	16 „ „ 80 „
შირის ჩექმები C 147	22 „	23 „
„ბოტიკები“ 370 უბეწვო	7 „ „ 70 „	8 „ „ 10 „
„ბოტიკები“ 326 ბეწვიანი	10 „	10 „ „ 50 „

3. ამერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალ რესპუბლიკებში თვალყური უნდა ადევნონ ამა დადგენილების სწორი აღსრულებისათვის.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის.
სახალხო კომისრის მოადგილე **გამყრელიძე.**

ვაჭრობის მოწესრიგების სამმართველოს
უფროსი **სტეფანიანი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარიატის საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 732 №-ში 1924 წ. ნოემბრის 20-ს.

დადგენილება № 61 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. ნოემბრის 18.

280. საჯარო ანგარიშგებისა და სავალდებულო პუბლიკაციის წესის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საჯარო ანგარიშგებისა და სავალდებულო პუბლიკაციის წესის შესახებ" 1923 წ. ივნისის 21-ს თარიღითა და 57 №-რით გამოცემული დადგენილების (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კანონთა კრებ. 1923 წ. მე-9 № რი, მუხ. 129) შესაცვლელად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

ა. აღნიშნული დადგენილების მე 11 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: „მუხ. 11. ყველა პუბლიკაცია ამიერკავკასიის მასშტაბით მოქმედი დაწესებულებისა და საწარმოსი იმის თაობაზე, რაც დაწვრილებით ჩამოთვლილია ამა დადგენილების მე-3—9 მუხ. მუხ., მოთავსებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ოფიციალურ ორგანო „ზარია ვოსტოკა"-ში; ხოლო რესპუბლიკანური მასშტაბით მომქმედი დაწესებულებისა და საწარმოს პუბლიკაციები მოთავსებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ოფიციალურ ორგანოში.

ბ. გაუქმებულ იქნეს მე-11 მუხ. შენიშვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა სათანადოთ უნდა შესცვალოს მის მიერ აღნიშნული დადგენილების განსავითარებლად დამტკიცებული წესები.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომ. საბჭ.
მდივნის თანამდ. დრ. აღმ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 732 №-ში 1924 წ. ნოემბრის 20-ს.

დადგენილება № 59 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. ნოემბრის 18.

281. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მონაკლებთა ფონდის დაწესების შესახებ აზერბაიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში 1924 წ. მოუსავლობისაგან დაზარალებული ადგილების მოსახლეობისათვის.

1924 წ. მოუსავლობისაგან დაზარალებული ადგილების მოსახლეობისათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში შეღავათის გაწევის შესახებ ამიერკავკასიის ცენტრ. აღმ. კ—სა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ოქტომბრის 3-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის თანახმად —ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ცნობილ იქნეს, რომ აზერბაიჯანში განსაკუთრებით დაზარალებულია მოუსავლობისაგან მაზრების ცალკე რაიონები საერთო რაოდენობით 116.328 დესეტინა მიწა სხვა-და-სხვა კულტურისა.

2. მონაკლებთა ფონდი აზერბაიჯანისათვის დაწესებულ იქნეს დადგენილი კონტინგენტის (5.400 000) 6 პროცენტის რაოდენობით.

3. აზერბაიჯანის ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს უფლება მიეცეს გაანაწილოს ეს ფონდი მაზრებზე და ავტონომიურ ოლქზე და რესპუბლიკაზე— მიმდინარე წლის მოუსავლობისაგან განსაკუთრებით დაზარალებული რაიონების ცალკე მეურნეობათა გასანთავისუფლებლად ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან—ნაწილობრივ ან სრულიად

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივნის თან. დრ. აღმ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა"-ს 732 №-ში 1924 წ. ნოემბრის 20-ს.

დადგენილება № 62 ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. ნოემბრის 21.

282. ამიერკავკასიის მანძილშეერთებულობის საოლქო სამმართველოში ნაციონალური რესპუბლიკების ენათა ხმარების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ—„სახელმწიფო დაწესებულებათა ენისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლების უზრუნველყოფის შესახებ“ მიღებული დეკლარაციის ძირითადი პრინციპების განსახორციელებლად და „ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო დაწესებულებათა ენის შესახებ“ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1923 წ. აგვისტოს 13-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის (ა/კ. ს. ფ. ს. რ. კან. და განკ. კრებ. 1923 წ. მე-10 №-რი, მუხ. 173) შესასრულებლად—ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი „დებულება ამიერკავკასიის მანძილშეერთებულობის საოლქო სამმართველოში ნაციონალური რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ“.

დებულება ამიერკავკასიის მანძილშეერთებულობის საოლქო სამმართველოში ნაციონალური რესპუბლიკების ენათა ხმარების შესახებ.

კარი I.

მანძილშეერთებულობის საოლქო სამმართველოსათვის

1. ამიერკავკასიის მანძილშეერთებულობის საოლქო სამმართველო მიმართავს ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების მთავრობის დაწესებულებათ რუსულ ენაზე; ხოლო მიიღებს მათგან პასუხს, შეკითხვას, მინაწერს და სხვ. რუსულსა ან სათანადო რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე ამ უკანასკნელი რესპუბლიკის ცენტალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების მიხედვით.

2. ყოველგვარი—გამოუნაკლისად—განცხადება, ცირკულიარი, განკარგულება და სხვ. რამ ამისთ., რასაც გამოაქვეყნებს მანძილშეერთებულობის საოლქო სამმართველო საყოველთაო ცნობისათვის,—უნდა იწერებოდეს ოთხ ენაზე: რუსულსა, სომხურსა, ქართულსა და თათრულ ენაზე.

3. ყოველგვარი სამსახურებრივი განკარგულება, ცირკულიარი და, საერთოდ, შინაგანი მიწერ-მოწერა საოლქო სამმართველოსა და ა/კ. ს. ფ. ს. რ.

ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა შორის უნდა იყოს რუსულსა ან სათანადო რესპუბლიკის ენაზე.

4. მთლად შინაგანი მიწერ-მოწერა საოლქო სამმართველოს განყოფილებათა შორის და ბრძანებანი უნდა იყოს რუსულს ენაზე.

კ ა რ ი II.

ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათათვის.

5. ყოველგვარი სამსახურებრივი მიწერ-მოწერა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა შორის ცალკე რესპუბლიკების ფარგალში იმ საგანზე, რაც ამ რესპუბლიკის ფარგალშივე უნდა გადასწყდეს, სწარმოებს ამა რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე ან რუსულს ენაზე.

მიწერ-მოწერა ა/კ. ს. ფ. ს. რ. შედგენილობაში შემავალი სხვ-და-სხვა რესპუბლიკების დაწესებულებათა შორის, სწარმოებს რუსულს ენაზე.

6. ყოველგვარი—გამოუნაკლისად—წარწერა, განცხადება, ბრძანება, ცირკულიარი, წესები, განკარგულება და სხვ. რამ ამისთ., რაც გამოკრულ იქნება მოქალაქეთა საყოველთაო ცნობისათვის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში, უნდა იწერებოდეს ამა რესპუბლიკის ენაზე, ნაციონალური უმცირესობის ენაზე და რუსულს ენაზე.

7. ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა მატერიალური და ფულის ანგარიშგება ცალკე რესპუბლიკის ფარგალში უნდა სწარმოებდეს რუსულ ენაზე, ხოლო აგრეთვე შეიძლება სწარმოებდეს პარალელურად და ერთსა-და-იმავე დროს სათანადო რესპუბლიკის ენაზე.

8. აღსრულება ტელეფონის სადგურის მიერ ამა თუ იმ მოთხოვნისა (შეკვეთისა) სავალდებულოა რუსულს ენაზე ან ამა თუ იმ რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

ტელეფონით გამოძახება და პასუხი ცალკე რესპუბლიკებს შორის მოხდება რუსულს ენაზე.

9. ამანათის მისამართი, მასთან განაყოლი მისამართი, დაზღვეული და უბრალო წერილის მისამართი, აგრეთვე გადასაგზავნი ფულის მისამართი, რაც ა/კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის შედგენილებაში შემავალი ერთი რომელიმე რესპუბლიკის ფარგალში გაიგზავნება, დაწერილი უნდა იყოს სათანადო რესპუბლიკის ენაზე, ნაციონალური უმცირესობის ენაზე ან რუსულს ენაზე; ხოლო რაც ერთი რომელიმე რესპუბლიკის ფარგლის გარეშე იქნება გაგზავნილი, დაწერილი უნდა იყოს ამა რესპუბლიკის ენაზე ან ნაციონალური უმცირესობის ენაზე და, ორივე შემთხვევაში, ერთსა-და-იმავე დროს—რუსულ ენაზე.

შენიშვნა 1. სათანადო მისაღებ დავთარში ჩაწერა და ქვითარის გამოწერა სწარმოებს იმ ენაზე, რა ენაზედაც შედგენილია ყოველგვარი საფოსტო გასაგზავნი საგანი.

შენიშვნა 2. გაგზავნა დანიშნულებისამებრ ა/კ. ს. ფ. ს. **რ.** ფარგალში ფოსტის ყუთში ჩაგდებული წერილისა შემდეგ ოთხ ენათაგან ერთ-ერთ ენაზე: რუსულსა, სომხურსა, ქართულსა და თურქულს ენაზე—სავალდებულოა.

10. ყველა საფოსტო-სატელეგრაფო დოკუმენტი, რაც ამა თუ იმ ცალკე რესპუბლიკაში იტრიალებს, შედგენილ უნდა იქნეს ამა რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე; ხოლო ცალკე რესპუბლიკებს შორის—რუსულს ენაზე.

11. ყოველგვარი აქტი ამა თუ იმ ჩანადებისა და სხვა რამის დანაკლების შესახებ შედგენილ უნდა იქნეს უწყებული რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე, ხოლო, უკეთუ იგი გასაგზავნია ამა თუ იმ რესპუბლიკის ფარგალ-გარე, აქტი შედგენილ უნდა იქნეს ან რუსულ ენაზე ან ამა რესპუბლიკის ენაზე და გადაითარგმნოს რუსულს ენაზე.

12. ყველა სპეციალური დავთარი, ამა დადგვნილების მე-7 მუხლში აღნიშნულის გარდა, წარმოებულ უნდა იქნეს უწყებული რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

კ ა რ ი III.

კერძო პირებთან და დაწესებულებებთან ურთიერთი მიმართვა.

13. კერძო პირების მიერ ამიერკავკასიის მანძილშეერთებულობის საოლქო სამმართველოში შეტანილი ყოველგვარი განცხადების მიღება სავალდებულოა, რა ენაზედაც უნდა იყოს დაწერილი იგი შემდეგ ოთხ ენათაგან: რუსულსა, სომხურსა, ქართულსა და თურქულს ენაზე.

14. კერძო პირების მიერ, როგორც რწმუნებულთა სამმართველოში, ისე ფოსტა-ტელეგრაფის უწყების ადგილობრივ დაწესებულებაში შეტანილი (ა/კ. ს. ფ. ს. რ—ში) ყოველგვარი განცხადების მიღება სავალდებულოა, რა ენაზედაც უნდა იყოს იგი დაწერილი შემდეგ ოთხ ენათაგან: რუსულსა, სომხურსა ქართულსა და თურქულს ენაზე.

15. ყველა დოკუმენტი და ცნობა გაიცემა იმ ენაზე, რა ენაზედაც განცხადებაა შეტანილი.

16. კერძო პირებისა და დაწესებულებების მიერ ა/კ. ს. ფ. ს. რ. შედგენილობაში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის ფარგალში გაგზავნილი დეპეშის მიღება სავალდებულოა, უკეთუ იგი დაწერილია ამა სახელმწიფო რესპუბლიკის ენაზე ან რუსულს ენაზე.

ხოლო ერთი რესპუბლიკიდან მეორე რესპუბლიკაში გადასაცემი დეპეშა მიიღება და გადაიცემა რუსულს ენაზე.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს მდივნის თან. დრ. აღმ. **ს. ლეკიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 735 №-ში 1924 წ. ნოემბრის 23-ს.

დადგენილება № 34 ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

434

1924 წ. ნოემბრის 12.

283. ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის წესდების ზოგიერთი პარაგრაფის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკის წესდების („ზ ვ.-ს 541 №-რი 1924 წ. აპრილის 3-სა) შესაცვლელად ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. სახელწოდება სააქციო საზოგადოების: „ამიერკავკასიის ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკი“ შეიცვალოს წესდების სათაურში და სათანადო §§-ში შემდეგ სახელწოდებად: „ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი“.

2. მე-4 §-ში სიტყვები: „სასოფლო სამეურნეო ბანკების მიერ და“ გამოტოვებულ იქნეს.

3. მე-5 §-ი შენიშვნითუთრ მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ამა წესდების მე-3 მუხ. „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნულ დაწესებულებათა და საწარმოთათვის კრედიტის მიცემის საქმეს ბანკი განახორციელებს რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათა მეშვეობით; ამასთანავე ეს უკანასკნელი საზოგადოებანი შეუთანხმებენ თავიანთ საკრედიტო გეგმას ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკს, როგორც სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სივრცისა და ძირითადი მიმართულებისა, ისე ცალკე ოპერაციებისათვის, რომელ ოპერაციებისათვისაც ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი გაიღებს ხოლმე კრედიტს. ამიერკავკასიის სას.-სამ. ბანკს უფლება აქვს კონტროლი გაუწიოს გახსნილი კრედიტის სათანადოდ გამოყენებას. საერთოფედერატიული მნიშვნელობის ოპერაციებს ამიერკავკასიაში აწარმოებს ამიერკავკასიის სას.-სამ. ბანკი უშუალოდ.

შენიშვნა. ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათა და ს. ს. რ. კავშირის სას.-სამ. ბანკს შორის ურთიერთი მიმართვა და ოპერაციები სწარმოებს მარტოოდენ ამიერკავკასიის სას.-სამ. ბანკის მეშვეობით.

4. 35 §-ფი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: „სესხი მიეცემა: ა) ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებათ; ბ) სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციათ და საწარმოთ უშუალოდ, უკეთუ სესხს საერთო-საკავშირო ან ფედერატიული მნიშვნელობა აქვს“.

5. 36 §-ში სიტყვები: „ამიერკავკასიის რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო ბანკები და“ გამოტოვებულ იქნეს.

6. 48 §-ში სიტყვები: „განყოფილებებს და სააგენტოებს“ გამოტოვებულ იქნეს.

7. 66 §-ს შენიშვნაში სიტყვა „სამი“ შეიცვალოს სიტყვად „ორი“.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. უმაღლესი ეკონომიური
საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 735 №-ში 1924 წ. ნოემბრის 23-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

435

1924 წ. ნოემბრის 24.

284. მუშათა ბინების კოოპერატიულ ამშენებლობისათვის ხელისშეწყობის შესახებ.

მუშათა საბინაო კოოპერაციისათვის—მუშათა ბინების აღმშენებლობის საქმეში—ხელისშეწყობის მიზნით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. არა-მშრომელი ელემენტების მიერ ქალაქებში დაჭერილი ბინების საცხოვრებელი სივრცე დაიბეგვრება, ადგილობრივი საბჭოების მიერ, საბინაო ფასისა და სხვაგვარი გამოსაღების გარეშე, მიზნობრივი გადასახადით კოოპერატიული მუშათა ბინების აღმშენებლობისათვის დახმარების გასაწევად.

არა-მშრომელი ელემენტების მიერ დაჭერილი ბინის ერთი საჟენი საცხოვრებელი სივრცის დაბეგვრის რაოდენობა, 1924 წ. ოქტომბრის 1-დან დაწყებული, განისაზღვრება ადგილობრივი საბჭოს დადგენილებით, რომელსაც დაამტკიცებს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, ადგილობრივი პირობების მიხედვით, ხოლო არა უმეტეს 5 მან. თვეში—ტფილისისა, ბაქოს და ერევნისათვის და არა უმეტეს 1 მან. დანარჩენი ქალაქებისათვის. ამგვარი დაბეგვრით შეგროვილი სახსარიდან ადგილობრივ საბჭოებს მიეცემა შეღავათიანი გრძელვადიანი სესხი კოოპერატიული მუშათა ბინების აღმშენებლობის საჭიროებისათვის.

შენიშვნა 1. არა-მშრომელ ელემენტად იგულისხმება საშემოსავლო ქონებრივი გადასახადის გადამხდელი, რომელიც მიკუთვნებულია 1923 წ.

ნოემბრის 12-ს დამტკიცებული საშემოსავლო ქონებრივი გადასახადის, დებულების მე-3 და მე-7 მუხლში აღნიშნულ კატეგორიებისათვის, და ყველა მის რჩენაზე მყოფი პირი.

შენიშვნა 2. ახლად აშენებულ სახლში საცხოვრებელი სივრცე, რაც სახლის პატრონს უჭირავს, განთავისუფლდება დაბეგვრისაგან 10 წლის განმავლობაში.

2. 1924 წ. ოქტომბრის 1-დან დაწყებული, გაერთიანებულ შემოსავალისათვის შეწერილ საშემოსავლო-ქონებრივი გადასახადზე, უკეთუ ეს შემოსავალი (სამუშაო ხელფასის გარდა) აღემატება 1.200 მან ნახევარ-წელიწადში, დაწესდება ზედნართი სახელმწიფო ფონდის შესადგენად მუშათა ბინების აღმშენებლობის კოოპერატივებისათვის გრძელვადიანი სესხის მისაცემად. აღნიშნული ზედნართის რაოდენობისა და გამოყენების წესი განისაზღვრება ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით.

3. ადგილობრივი საბჭოების მიერ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა და საწარმოთათვის მიქირავებული სადგომების შემოსავლიდან გადაირიცხება ხოლმე, 1924 წ. ოქტომბრის 1-დან დაწყებული, არა ნაკლებ 5%-სა უწყებული მაზრის მუშათა ბინების აღმშენებლობისათვის.

4. ადგილობრივი საბჭო მოვალეა მიუჩინოს სახელმწიფო საწარმოს და მუშათა ბინების აღმშენებლობის კოოპერატივს შეღავათიანი პირობებით მიწა მუშათა ბინების აღმშენებლობისათვის, რამდენადაც შეიძლება, სათანადო საწარმოს ახლოს. მინიმალური ზომა იმ მიწისა, რაც ამა მუხლის თანახმად უნდა გაიცეს ერთი ბინის ასაგებად, დადგენილ იქნება რესპუბლიკანური სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ადგილობრივი საბჭოს წარდგენით.

5, მუშათა ბინების აღმშენებლობისა და მოწყობისათვის უშუალოდ საჭირო ხე-ტყე გაიცემა შეღავათიან პირობებში; ამასთანავე—სამორე გადასახდელის გრძელვადიანი სესხის სახის მიცემით და პირველ წლებში მორიგი გადასახადისაგან განთავისუფლებით იმ ფარგალში, რასაც დააწესებს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

შენიშვნა 1. იმავე საფუძველზე მიჩენილ უნდა იქნეს საჭირო ზომის კარიერები ქვისა, ქვიშისა და თიხის ამოსაღებად.

შენიშვნა 2. მოსაჭრელი ხე-ტყისა და კარიერების მიჩენა უნდა მოხდეს თვინიერ ამა დადგენილების გამოცემამდე დადებულ ხელშეკრულებათა დარღვევისა.

6. ადგილობრივი საბჭოები გადასცემენ მუშათა ბინების კოოპერატივებს შეღავათიანი ფასით და გრძელვადიანი სესხის საფუძველზე გამოუყენებელ შენობებს, კერძოდ იმ სახლებს, სადაც არავინ სცხოვრობს.

7. მუშათა ბინების კოოპერატივები და მათი კავშირები განთავისუფლდებიან სარეწივი და საშემოსავლო-ქონებრივი გადასახადისაგან.

მუშათა ბინების კოოპერატივებისა და მათი შენაერთების მიერ აღმშენებლობის საჭიროებისათვის დადებული გარიგებანი განთავისუფლდება საღერბო და სანოტარო გამოსაღებისაგან.

8. სახელმწიფო საწარმოთათვის და მუშათა საალმშენებლო კოოპერატივებისათვის მუშათა ბინების აღმშენებლობის მიზნით მიჩენილი ნაკვეთები განთავისუფლდება მიწის ძირითადი და დამატებითი რენტის გადახდისაგან, ნაკვეთის მიჩენის დღიდან დაწყებული, ვიდრე სამი წელიწადი გათავდებოდეს შენობის აგების შემდეგ.

9. ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე მუშათა ბინების აგებისა და მოწყობისათვის საჭირო ხე-ტყისა და სხვა საალმშენებლო მასალისა, აგრეთვე შენობის სხვა ნაწილების გადაზიდვას უნდა შეეფარდოს შეღავათიანი ტარიფი, რაც დადგენილი წესისამებრ განისაზღვრება.

10. ამა დადგენილების განხორციელების მეთვალყურეობისათვის და კოოპერატიული აღმშენებლობის განსავითარებლად სათანადო ღონისძიებათა შემუშავებისათვის—რესპუბლიკანურ შრომის სახალხო კომისარიატებთან მოეწყობა მუშათა ბინების კოოპერატიული აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტები—შრომის სახალხო კომისარიატისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, საბინაო კოოპერაციის რესპუბლიკანური შენაერთისა და დედა--ქალაქების აღმ. კომიტეტების წარმომადგენელთა შედგენილობით.

რესპუბლიკანური კომიტეტების მუშაობის შესათანხმებლად და ამიერკავკასიის საერთო ფონდის გასანაწილებლად—ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატთან მოეწყობა დამხმარე კომიტეტი—ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა, ა/კ. ფინ. სახ. კ-ტისა, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენლებისა და საბინაო კოოპერაციის ყველა რესპუბლიკანური შენაერთების მიერ არჩეული წარმომადგენლის შედგენილობით.

კომიტეტები იმუშავებენ სათანადო სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულების თანახმად.

11. საინსტრუქციო დირექტივებს და ამა დადგენილების განმარტებას იძლევა, დამხმარე კომიტეტთა წარდგენით, სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ს. იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 738 №-ში 1925 წ. ნოემბრის 27-ს.

დეკრეტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. ნოემბრის 24.

285. **ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფარგალში გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების დამზადების წესის შესახებ.**

რათა წინასწარვე აღკვეთილ იქნეს ა/კ. ს. ფ. ს. რ. ფარგალში სახმარებლად გამოშვებული ფასიანი ქაღალდების სიყალბით მიგვანების შესაძლებლობა, აგრეთვე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ ქაღალდების სწორი აღნუსხვა და თავის დროზე გადახდევინება მათზე არსებული პროპორციონალური საღერბო გამოსაღებისა, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ყოველგვარი ფასიანი ქაღალდი, რასაც გამოუშვებს სახელმწიფო დაწესებულება, აგრეთვე სავაჭრო, სამრეწველო, საკრედიტო საზოგადოება და ამხანაგობა, მაგალითად: აქცია, ობლიგაცია, დროებითი მოწმობა და სხვა სახელწოდების სადივიდენდო და საპროცენტო ქაღალდი,—დამზადებულ უნდა იქნეს მარტოოდენ ს. ს. რ. კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო ნიშნების დამმზადებელი ფაბრიკების სამმართველოს მეშვეობით.

2. ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ს. იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 739 №-ში 1924 წ. ნოემბრის 28-ს

დადგენილება № 20 (28,611) ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

1924 წ. ნოემბრის 27.

286. **პარაფინის ასანთის ფასის შესახებ.**

(ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის მოწესრიგების სამმართველოსათვის).

რათა კოოპერაცია ჩაყენებულ იქნეს ხელსაყრელ პირობებში სატრესტო ფაბრიკების ასანთის რეალიზაციისათვის, ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ამა წლის სექტემბრის 16-ს თარიღითა და 11 № რით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად, ადგენს:

1. ასანთის სატრესტო ფაბრიკების (ნოვ. ტრესტ. ვაჭრ. და სხვ.) მიერ ნაწარმოებ თეთრ და წითელ წკირიანი პარაფინის ასანთზე დაწესებულ იქნეს მთლად ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიისათვის შემდეგი მაქსიმალური უკიდურესი საბითუმო და წვრილ-ცალობითი ფასები, რომელშიაც შედის აქციზი ერთ 1000 კოლოფიან ყუთზე.

სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერატიული და კერძო ორგანიზაციებისათვის.

ა) ვაგონობით ფრანკო-დანიშნულების სადგური ერთ—ათას კოლოფიან—ყუთზე 12 მან. და 20 კაპ., 12 მან. და 85 კაპ., ბ) 101 ყუთიდან 1 ვაგონამდე ფრანკო-საბაზისო საწყობი ერთ—ათას კოლოფიან ყუთზე—12 მან. და 25 კაპ., 12 მან. და 40 კაპ.; გ) 101 ყუთიდან 1000 ყუთამდე ფრანკო-საბაზისო საწყობი ერთ—ათას კოლოფიან—ყუთზე—12 მან. და 35 კაპ., 13 მან.

2. ამა წლის სექტემბრის 16-ს თარიღის და მე-11 №-ის დადგენილების მე-II პუნ.—ცალობითი ფასების შესახებ—ძალაში დარჩეს.

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

4. ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალ რესპუბლიკებში წინადადება ეძლევათ თვალყური ადევნონ ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. შინა-
ვაჭრობის სახ. კ-ტის კოლეგიის წევრი **დურგარიანი.**
ვაჭრობის მოწესრიგების სამმართველოს
უფროსის მოადგილე **ნოვიკოვი.**
საქმეთა მმართველის მაგიერ **აბესაძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 740 №-ში 1924 წ. ნოემბრის 29-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. ნოემბრის 24.

287. ადგილობრივი ორგანოებს მიერ, ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცებამდე, სახსართა დახარჯვის წესის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

განგრძობილ იქნეს მოქმედება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექტემბის 27 დადგენილებისა—„ადგილობრივი ორგანოების მიერ, ადგილობრივი ბიუჯეტების დამტკიცებამდე სახსართა დახარჯვის წესის შესახებ“ („ზ. ვ.“-ს 690 №-რი 1924 წ. სექტემბრის 30-სა) 1924. წ. დეკემბრის 1-დე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ა. ს. იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 741 №-ში 1924 წ. ნოემბრის 30-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. ნოემბრის 24

288. სპეციალური საგზატკეცილო-საგზაო ფონდის დაარსების თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გაუქმებულ იქნეს საშენაწერო პერიოდიდან—1924 წ. ოქტომბერი—1925 წ. მარტი—10 %-ნი ზედნართის მირიცხვა სახელმწიფო-საშემოსავლო-ქონებრივ გადასახადზე-სპეციალური საგზატკეცილო-საგზაო ფონდის შექმნისათვის.

2. სპეციალური საგზატკეცილო-საგზაო ფონდის შექმნის შესახებ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. ივლისის 9 ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 10 %-ნი ზედნართის გარდა (მუხ. მე-2 ა/კ. ც. ა. კ-სა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახ. კომის. საბჭოს 1924 წ. აპრილის. 24-ს დადგენილებისა—ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ) რეს-პუბლიკანურ საგზაო ფონდში გადაიცემა 10 %-ნი ანარიცხი სახელმწიფო სარე-

წავი გადასახადის ზედნართისა, რაც ადგილობრივი ორგანოების სასარგებლოდ არის დაწესებული; აღნიშნული ფონდები ა/კ. ს. ფ. ს. რ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების განკარგულებაშია და იხარჯება მარტოდენ უწყებული რესპუბლიკის გზების შესანახად"

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ს. იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა"-ს 741 №-ში 1924 წ. ნოემბრის 30-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1924 წ. ნოემბრის 24.

289. აზერბაიჯანის ს. ს. რ., საქართველოს ს. ს. რ. და სომხეთის ს. ს. რ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესების საბავშვო კომისიების მიერ საქველმოქმედო მიზნით გამართულ საღამოებზე, კონცერტებზე და სხვ. ამისთ. გასართობზე მოსაწყობი ბუფეტების განთავისუფლების შესახებ სახელმწიფო სარეწავი გადასახადისაგან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

განთავისუფლებულ იქნეს სახელმწიფო სარეწავი გადასახადისაგან აზერბაიჯანის ს. ს. რ., საქართველოს ს. ს. რ. და სომხეთის ს. ს. რ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესების —„საბავშვო კომისიების" მიერ,—მათზე კანონით დაკისრებული მიზნების განსახორციელებლად საჭირო სახსართა მოსაპოებლად,—გამართულ საღამოებზე, სეირნობაზე, ბაზარზე, წარმოდგენაზე და სხვ. ამისთ. გასართობზე მოწყობილი ბუფეტები.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ს. იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 741 №-ში 1924 წ. ნოემბრის 30-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. ნოემბრის 24.

+449

290. ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღების უმაღლესი უკიდურესი განაკვეთის შესახებ.

1924 წ. ივლისის 9 ს თარიღით გამოცემული ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების 102 მუხლის დანართში დადგენილი ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღების უმაღლესი უკიდურესი განაკვეთის შესაცვლელად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დაწესებულ იქნეს ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებისათვის შემდეგი უკიდურესი განაკვეთი:

I. სამრეწველო ბაღებისა და ბოსტნების გადასახადისათვის.

(დრ. დებ. 55—59 მუხ.)

ბაღისა და ბოსტნის ერთ ოთხკუთხ საჟენ სივრცეზე წლიურად: 1) იმ ქალაქში, რომელიც საპატენტო გამოსაღების ნიხრისათვის დადგენილი--ადგილთა ზოლებად დანაწილების—ნუსხით მიწერილია უმაღლეს ზოლზე—0,6 კაპ., 2) იმ ქალაქში, რომელიც დანაწილების ნუსხის ლიტ. „ბ"-ით მიწერილია საშუალოზე-უმაღლეს და საშუალო ზოლზე—0,4 კაპ.; 3) იმ ადგილას, რომელიც 10 ვერსზე მეტად დაშორებული არ არის ქალ. ტფილისისა, ბაქოს და ერევნის მიჯნიდან—0,2 კაპ.

II. ცხენისა და პირადი საჭიროების ეტლის გადასახადისათვის ქალაქ-ადგილას. (64—65 მუხ.).

პირადი საჭიროების თვითეულ ცხენზე ნახევარ წელიწადში - 25 მან.

შენიშვნა 1. მუშა-ცხენის გადასახადის განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს პირადი საჭიროების ცხენისათვის დაწესებული განაკვეთის 25% ს.

შენიშვნა 2. სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სახელმწ. დაწესებულების მსუბუქ ეტლში შესაბმელი ცხენისათვის გადახდევინებულ უნდა იქნეს გადასახადის იმ განაკვეთის ნახევარი, რაც დაწესებულია დანარჩენ გადამხდელთათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. ველოსიპედისა, თვითმოძრავ ეტლისა, იახტისა და მოტორიანი ნავის გადასახადისათვის. (67—68 მუხ.).

1) თვითეულ ველოსიპედზე ნახევარ წელიწადში—1 მან.; 2) მგზავრთა გადამყვან თვითმოძრავი ეტლისა ან მოტორიანი ნავის თვითეულ ძალაზე ნახევარ წელიწადში—3 მან.; 3) ტვირთმზიდველისა ან მოტოციკლის თვითეულ ძალაზე ნახევარ წელიწადში—1 მან. და 50 კაპ.

IV. რონინების სარეწავის გადასახადისათვის (69—70 მუხ.).

1) ამ სარეწავში მომუშავე თვითეულ ცხენზე ან სხვა პირუტყვზე ნახევარ წელიწადში: ა) ქალაქ-ადგილას—10 მან.; ბ) ქალაქ-გარე ადგილას—4 მან.

V. გადაზიდვის სარეწავის გადასახადისათვის (71—73 მუხ.).

თვითეულ ნავზე ხალხის გადაყვან-გადმოყვანისათვის სეზონის განმავლობაში: ა) ქალაქ-ადგილას—2 მან. და 50 კაპ.; ქალაქ-გარე ადგილას—1 მან.

2) თვითეულ ბორანზე, იახტაზე ან ტვირთმზიდავ ნავზე სეზონის განმავლობაში: ა) ქალაქ-ადგილას—15 მან.; ბ) ქალაქ-გარე ადგილას—5 მან.

VI. საქონლისა და სხვა შინაური პირუტყვის გადასახადისათვის ქალაქ-ადგილას (79—80 მუხ.).

ა) თითო სულ მსხვილფეხა საქონელზე ნახევარ წელიწადში—3 მან.

VII. პლაკატისა, აფიშისა და რეკლამის გადასახადისათვის ქალაქ-ადგილას (93 მუხ.).

ა) მოკლევადიან პლაკატზე და აფიშაზე სრული ან არა-სრული 1000 ცალისათვის პლაკატის ან აფიშის თითო ოთხკუთხ ვერშოკზე—2 კაპ., ბ) მუდმივ რეკლამაზე,—სხვათა შორის განათებულ რეკლამაზედაც,—რეკლამის ოთხკუთხ არშინზე თვიურად—50 კაპ.

შენიშვნა. მუდმივ ნაბეჭდ რეკლამაზე, რაც გამოფენილ თუ გაკრულ იქნება არა ნაკლებ 100 ცალისა, გადასახადი შემცირდება ერთი-ხუთად.

VIII. საჩასაწერო გადასახადისათვის ქალაქ-ადგილას (100 მუხ.).

ვინაობის დამამტკიცებელი დოკუმენტის თვითეული ჩაწერისათვის: ა) მუშისა და მოსამსახურისა—10 კაპ.; ბ) შინა-მრეწველისა და თავისუფალი პროფესიის პირისა—20 კაპ. და გ) დანარჩენისა—1 მან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **ს. იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 741 №-ში 1924 წ. ნოემბრის 30-ს.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა, პლეხანოვის პროსპექტი, № 91.

მთავარლიტი № 605. შეკვ. № 4834/971 დაიბეჭდა 500.